

შიდა კონტროლის სისტემის განვითარება და სამართლებრივი უზრუნველყოფა საქართველოში

უდესიანი თათია – დოქტორანტი. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

Development of Internal Control System and Legal Provision in Georgia

Udesiani Tatia – PhD Student, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The intensification of the implementation of the state internal financial control system led to the start of cooperation between Georgia and the European Union. One of the essential preconditions for joining the EU was the existence of a system of internal control in institutions, which later became a kind of indicator to evaluate efficient functioning of the institution.

Establishment of state internal financial control system in Georgia has been launched since 2007 with the agreement signed with the European Union. In 2009, the Ministry of Finance of Georgia developed a strategic document on "Public Sector Financial Management Reform" (2009-2013), according to which the internal control system is developed and developed in the public sector. This strategic document included 5-year plan and measures for establishing internal control mechanisms in the country based on the concept developed by the EU, about PIFC – Public Internal Financial Control and International Organization for International Audit Institutions (INTOSAI) and standards for public sector.

The development of a state internal financial control system constitutes a continuous process and requires continuously improvement and improvement, making it the most important tool for managing and minimizing risks in public institutions.

Research methodology: The research process is used International Audit Standards, INTOSAI Standards of Intergovernmental Organization of Supreme Audit Institutions, methodologies developed at the international and local level, manuals and instructions, Georgia's legislation, a variety of non-state bodies, based on research results. The basic research methodology represents as general scientific as economic research methods. Namely functional analysis and synthesis, abstraction, comparison, the systematic and logical approaches, assessment, Methods of collecting cumulative and evidence of economic, statutory, risk assessment.

Results and implications: The article deals with the development of internal control system and its legal provision in Georgia. It consists of stages of introducing and development of internal control. The legal norms reviewed and evaluated are regulated by internal control issues.

As a result of the research, it has been revealed that despite a number of problematic issues, the internal control system is characterized by the growing pace of development in Georgia. The methodology, legislation and strategies are processed to regulate and develop issues related to the control over the control.

Conclusion: Internal control is important for the country, as it is the organizational structure, methods, procedures and internal audit functions management system, financial and other control mechanisms aimed at implementing the objectives of the Institute legally, transparent, economically, effectively and productively.

Keywords : Internal financial control, internal audit, law, methodology, strategy.

აბსტრაქტი

შესავალი და კვლევის მიზანი: სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის აქტუალურობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის დაწყებამ განაპირობა. ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა დაწესებულებებში შიდა კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რომელიც მოგვიანებით გახდა ერთგვარი ინდიკატორი დაწესებულების ეფექტიანდ ფუნქციონირების შესაფასებლად.

საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2007 წლიდან ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის შესახებ“ (2009-2013 წლები), რომლის მიხედვით, დაიგეგმა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საჯარო სექტორში. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავდა ქვეყანაში შიდა კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების 5 წლიან გეგმასა და ღონისძიებებს, ეფუძნებოდა ევროკავშირის მიერ შემუშავებულ კონცეფციას სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებს საჯარო სექტორისათვის¹.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და მუდმივად საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას მით უფრო, რომ იგი საჯარო დაწესებულებებში არსებული რისკების მართვისა და მინიმიზებისათვის უმთავრესი ბერკეტია.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ის სტანდარტები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე შემუშავებული მეთოდოლოგიები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები, საქართველოში არსებული საკანონმდებლო, სხვადასხვა არასამთავრობო თუ სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული კვლევისა შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლს წარმოადგენს, როგორც ზოგადად სამეცნიერო, ასევე ეკონომიკური კვლევის მეთოდები. კერძოდ: ფუნქციონალური ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქციის, შედარების, შეფასების, სისტემური და ლოგიკური მიდგომების, ეკონომიკური, ნორმატიული, რისკის შეფასების კუმულატიური მეთოდი, მტკიცებულებების მოგროვების მეთოდი.

შედეგები და იმპლემენტაცია: სტატია ეხება შიდა კონტროლის სისტემის განვითარებასა და მის სამართლებრივ უზრუნველყოფას საქართველოში. მასში წარმოდგენილია შიდა კონტროლის დანერგვისა და განვითარების ეტაპები. განხილული და შეფასებულია ის სამართლებრივი ნორმები, რომლითაც რეგულირდება შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა, შიდა კონტროლის სისტემა საქართველოში განვითარების მზარდი ტემპით ხასიათდება. მუშავდება მეთოდოლოგია, კანონმდებლობა, სტრატეგია, რომლის საფუძველზეც ხდება სიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და განვითარება.

დასკვნა: შიდა კონტროლი ეს არის ქვეყნის გავითარების მნიშვნელოვანი ბეკრეტი, გამომდინარე იქედან, რომ შიდა კონტროლის სისტემა ეს არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: შიდა ფინანსური კონტროლი, შიდა აუდიტი, კანონი, მეთოდოლოგია, სტრატეგია.

¹ ჰარმონიზაციის ცენტრის 2013 წლის ანგარიში;

შიდა კონტროლის სრულყოფილი მექანიზმის არსებობა საჯარო სექტორში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რადგან შიდა კონტროლის სისტემა ეს არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა.

ჩვენს ქვეყანაში შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის მიზნით პირველი ნაბიჯები 2007 წელს გადაიდგა, როდესაც საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმდა დაფინანსების ხელშეკრულება საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ.

საერთაშორისო სტანდარტებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ინსტიტუციონალური განვითარებისათვის საწყის ეტაპზე სამი ძირითადი პირობა არსებობდა: შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, შიდა აუდიტის სუბიექტებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის ჩამოყალიბება. 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის შესახებ“ (2009-2013 წლები), რომლის მიხედვით, დაიგეგმა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საჯარო სექტორში. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავდა ქვეყანაში შიდა კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების 5 წლიან გეგმასა და ღონისძიებებს, ეფუძნებოდა ევროკავშირის მიერ შემუშავებულ კონცეფციას სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC – Public Internal Financial Control) შესახებ და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებს საჯარო სექტორისათვის. გარდა ამისა, 2009 წლის ივნისში მომზადდა კანონპროექტი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელიც მოგვიანებით, 2010 წლის მარტში დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ². კანონი ითვალისწინებდა საქართველოს სამინისტროებში, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგეობებში (მერიებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შიდა აუდიტის სუბიექტების ჩამოყალიბებას. ის არეგულირებდა თითოეული ასეთი სუბიექტის ფუნქციონირებას, უფლებებსა და მოვალეობებს, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს. ამჟამად, იგივე საკითხები რეგულირდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სრულფასოვანი და ეფექტიანი დანერგვისათვის ძირითად რგოლს წარმოადგენს ჰარმონიზაციის ცენტრი, რომლის მთავარი ფუნქციაა შიდა აუდიტის სუბიექტების კოორდინაცია, მათი სინქრონიზებულად ფუნქციონირება, ამო-

²ჰარმონიზაციის ცენტრის 2013 წლის ანგარიში;

ცანათა დუბლირების თავიდან აცილება და შიდა აუდიტის განვითარების პროცესის ხელშეწყობა და მონიტორინგი. ამასთან, ჰარმონიზაციის ცენტრი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორთა ცოდნისა და უნარების გაღრმავების და მათი უწყვეტი პროფესიონალური განვითარების მხრივ, სხვადასხვა სწავლებების და ტრენინგ-კურსების ორგანიზებაზე. შესაბამისად, 2010 წლის მაისში ჩამოყალიბდა სსიპ „სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“), რომელსაც უნდა განეხორციელებინა მთავარი რგოლის-ჰარმონიზაციის ცენტრის (Central Harmonization Unit) ფუნქციები. აღნიშნული ითვალისწინებდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემუშავებულ მოდელს.

ჰარმონიზაციის ცენტრის/სამდივნოს საკადრო რესურსების გათვალისწინებით 2013 წლის პრიორიტეტს წარმოადგენდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისათვის პირველი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა და შიდა აუდიტის პილოტური პროექტების განხორციელება, რომელიც განხორციელდა კიდევ რამდენიმე სამინისტროში. 2014 წელს კი ინტენსიურად მიმდინარეობდა 2 მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე მუშაობა – შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო. გარდა ამისა, 2014 წელი დატვირთული იყო შიდა აუდიტორთათვის ტრენინგებითა და სემინარებით.

2010 წლის 09 ნოემბრის N345 დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო“ (ჰარმონიზაციის ცენტრი), დამტკიცდა საბჭოს დებულება და განისაზღვრა საბჭოში არსებული სამდივნოს უფლება-მოვალეობები. ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტები, როგორცაა აშიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, შიდა აუდიტის სტანდარტები და სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, რომლებიც შემდგომ დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს მოხდა სრულად ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან - INTOSAI-თან და IIA-თან და ამ კუთხით, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ“. გარდა ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებებისა, აღნიშნული კანონის სათაურიც შეიცვალა და ეწოდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2014 წელს, ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადდა აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, სადაც რამდენიმე ძირეული ცვლილება იქნა შეტანილი. აღნიშნული ცვლილებებით კანონი დამტკიცდა 2015 წლის 18 დეკემბერს.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ არეგულირებს საჯარო დაწესებულებებში შიდა ფინანსური კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს - „ამავე კანონით განსაზღვრულ დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის წესსა და პრინციპებს,

აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის“³. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე კანონის საფუძველზე განისაზღვრება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის აუცილებელი მეთოდოლოგია და სტანდარტები.

ხშირად მიიჩნევენ, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი მხოლოდ შიდა აუდიტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმაა თუმცა, როგორც კანონის მეორე თავი სრულად განსაზღვრავს დაწესებულების პასუხისმგებლობებს.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას თითოეული დაწესებულება შეიმუშავებს, რომელმაც უნდა მოიცვას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური პროცესები, ოპერაციები და ქმედებები. კანონის მეორე თავის მე-7 მუხლი განსაზღვრავს მენეჯერული ანგარიშვალდებულების არსს, რომ დაწესებულების ყოველ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის და სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დაწესებულების მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისათვის პასუხისმგებელია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე.

შიდა აუდიტის სუბიექტიც თავის საქმიანობას ამ კანონის საფუძველზე ახორციელებს, გარდა ამისა, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, შიდა აუდიტის სტანდარტებით, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსით, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულებით და შემდეგი ძირითადი პრინციპების – დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, კონფიდენციალურობა, კანონიერება, გამჭვირვალობა, დაცვით.

2017 წლის 21 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის N512 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულების შესაბამისად.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანს საჯარო სექტორში „კარგი მმართველობის პრინციპების“ განვითარება და საჯარო ფინანსების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის ხელშეწყობა წარმოადგენს.

³საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, პირველი მუხლის, პირველი პუნქტი;

სტრატეგიით განიმარტება, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მნიშვნელობა განპირობებულია არა მხოლოდ საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, არამედ მისი დანერგვის შედეგად მიღებული პოტენციური სარგებლით. რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად დაწესებულებების გამართულ მენეჯრულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ ფუნქციონირებას და შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების მეტად მიზნობრივ, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას“.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს შიდა აუდიტის მეთოდოლოგია (შემდგომში - მეთოდოლოგია), რომელიც შეიქმნა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბერის N593 დადგენილება) და იგი მიზნად ისახავს საჯარო სექტორში მოღვაწე შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების მარეგულირებელი მოთხოვნების ჩამოყალიბებას. მეთოდოლოგია განსაზღვრულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის გამოსაყენებლად.

მეთოდოლოგია, ადგენს წესებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილების, ამოცანების და მიზნების შესასრულებლად; ასევე, განსაზღვრავს პროცედურებს შიდა აუდიტის სუბიექტისთვის ოპერაციების ორგანიზებისა და შიდა აუდიტის აქტივობების განსახორციელებლად, როგორც არის შიდა აუდიტორული საქმიანობის დოკუმენტირება, მონაცემთა შედარება, ანალიზი, რეგისტრირება, ანგარიშგება და ხარისხის შეფასება. მეთოდოლოგია წარმოადგენს ინფორმაციას შიდა აუდიტის ფუნქციის როლსა და პასუხისმგებლობებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგია დეტალურად მოიცავს ყველა იმ საკითხს და პროცესს, რომელიც მნიშვნელოვანია შიდა აუდიტორის მიერ საქმიანობის განსახორციელების თითოეულ ეტაპზე.

რაც შეეხება შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს (შემდგომში – კოდექსი), იგი წარმოადგენს იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებს შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელთა (შემდგომში – შიდა აუდიტორები) ქცევის წესს სახელმწიფო შიდა აუდიტის საქმიანობის განხორციელების პროცესში (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისი N1016 განკარგულება).

კოდექსის მიზანია შიდა აუდიტის საქმიანობაში მაღალი ეთიკური კულტურის დამკვიდრება და შიდა აუდიტორთა მიერ პროფესიული ვალდებულებების სრულყოფილად და ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობა. მასში მოცემული პრინციპებისა და ქცევის წესების დაცვა სავალდებულოა ყველა შიდა აუდიტორისათვის მათ მიერ შიდა აუდიტის საქმიანობის განხორციელების პროცესში.

კოდექსით განსაზღვრული პრინციპებისა და ქცევის წესების დაცვის კონტროლს კი ახორციელებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. თბილისი. 2010 წ.
2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N512 განკარგულება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბერის N593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისი N1016 განკარგულება „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;
5. ჰარმონიზაციის ცენტრის 2013 და 2014 წლის ანგარიშები;
6. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გამოწვევები საქართველოში: შეფასება და რეკომენდაციები“ 2014 წელი;
7. ACCA (წიგნი 2,6) აუდიტი და შიდა მიმოხილვა;
8. Public internal financial control (PIFC), Brussels January 2007;
9. International Standards of Auditing published by the IFAC;
10. <http://sao.ge/audit/audit-reports/performanc>;
11. <http://www.intosai.org>